„გვხსოვდეს ვინცა გორიცხა ხარ!“

გვარი და ფრადიცია

7-8 (33-34)

ივლისი-აგვისტო 2016 წ.

საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“
სრულიად საქართველოს გვარის წინამძღოლთა დარბაზის საბჭოს გაზეთი

საინფორმაციო ქრონიკა

2016 წლის 4 ივლისს სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა შეკრება მიეძღვნა გამოჩენილი მეცნიერის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ სამეცნიერო საბჭოს თავჯდომარის ზურაბ ჭუმბურიძის დაბადებიდან 90 წლისთავს.

საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ სახელით იუბილარს მიესალმა კავშირის გამგეობის თავჯდომარე პროფესორი ლევან ფრუიძე, სიტყვებით გამოვიდნენ და მიულოცეს ჭუმბურიძეთა საგვარეულო კავშირის თავჯდომარე მამია ჭუმბურიძე; გელათის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, რუსთავის მიტროპოლიტი მეუფე იოანე; ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი პროფესორი ავთანდილ არაბული; საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორი, პროფეოსრი სერგო ვარდოსანიძე; აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირის თავჯდომარე, ფილოსოფოსი, პროფესორი ნიაზ ბოლქვაძე; პროფესორი მირიან ფიცხელანი; ლოლაძეთა საგვარეულო კავშირის თავჯდომარე ფრიდონ ლოლაძე; საქართველოს საგვარეულოთა კავშირის გამგეობის თავჯდომარის მოადგილემ ვაჟა ნადირაშვილმა იუბილარს გადასცა საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ სპეციალური საპატიო მედალი, რომლითაც ზ. ჭუმბურიძე დაჯილდოვდა გვარეთმცოდნეობაში და საგვარეულო მოძრაობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის; ნარგიზ ტურძელაძემ იუბილარს მიუძღვნა საკუთარი ლექსი.

საღამო მიმდინარეობდა ჩოხოსანთა მომღერლების სიმღერების თანხლებით.







ბატონ ზურაბ ჭუმბურიძეს

ზ–ეიმი გვაქვს, ბატონ ზურაბს
უ–ნდა ღვაწლი დავუფასოთ
რ–აც აკეთა, გავიხსენოთ,
არაფერი დავუკარგოთ
ა–მაგდარსა და ღვაწლმოსილს,
ბ–რძენკაცს, მე რას ვეტყვი ახალს?!
ჭ–იანჭველასავით შრომობს,
უ–ნარს და ნიჭს მის ერს ახმარს...
მ–უდამ მხნეს და გვარში რჩეულს,
ბ–ევრი მადლი გაუცია,
უ–თესია, უმარგლია,
რ–ა მზის ციხე აუგია...
ი–ცოცხლეთ და ფეხზე დიდხანს,
ძ–ველებურად იდექ მყარად
ე–მრავლოს და ეამაყოს თქვენით
მუდამ თქვენს ქვეყანას!
ს–იტყვით, საქმით, ნიჭით, კალმით
სამშობლოს სამსახურში ხართ,
კეთილს თესავთ, ამ ძნელ დროჟამს,
ხალხს და ქვეყანას არგიხართ;
წლები რაა... რას დაგაკლებთ,
ასე ბევრი მადლის გამცემს?!
კიდევ დიდხანს იცოცხლებთ და
უკან მოიტოვებთ ას წელს.

დიდი პატივისცემით
ნარგიზ ტურძელაძე
4. 07. 2016

მამია ჭუმბურიძე - 70

ეკონომიკის დოქტორს, პროფესორ მამია ჭუმბურიძეს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა. იგი დაიბადა ზემო იმერეთში, ზესტაფონის რაიონში, ყვირილასპირა ულამაზეს სოფელ ბოსლევში, რკინიგზელ ამბროსი ჭუმბურიძისა და ქველმოქმედ ლუბა მაღლაფერიძის შრომისმოყვარე ოჯახში 1946 წლის 23 ივნისს. იქვე 1963 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა, 1968 წელს კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი „პოლიტიკური ეკონომიის“ სპეციალობით და მიენიჭა ეკონომისტის, პოლიტიკური ეკონომიის მასწავლებლის კვალიფიკაცია. სტუდენტობის წლებში იგი აქტიურად იყო ჩართული სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების საქმიანობაში. მიღებული აქვს მრავალი სიგელი და დიპლომი, მათ შორის 1968 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I ხარისხის სიგელი. დაწყებით სამეცნიერო მუშაობას ეზიარა პროფესორ გივი ჭანუყვაძის ხელმძღვანელობით. 1967 წელს სტუდენტთა გაცვლის პროგრამით იმყოფებოდა გერმანიაში, იენის უნივერსიტეტში. 1968 წლიდან განაწილებით მუშაობდა სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში ჯერ უმცროს, შემდეგ უფროს მეცნიერ–თანამშრომლად. 1974 წელს, ინსტიტუტის დირექტორმა, ცნობილმა მეცნიერ–ეკონომისტმა, მრავალი ახალგაზრდა მეცნიერის აღმზრდელმა და მეგობარმა, პროფესორმა ვალერიან მელქაძემ მას, ჯერ კიდევ სამეცნიერო ხარისხის არმქონე ახალგაზრდა სპეციალისტს, განყოფილების ხელმძღვანელობა მიანდო. იყო რამდენიმე სამეცნიერო თემის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი შემსრულებელი. არჩეული იყო ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარედ, საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს წევრად და ნაყოფიერად მოღვაწეობდა საბჭოს მუშაობაში. პარალელურად ეწეოდა პედაგოგიურ მუშაობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე. 1976–1984 წლებში მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, ეკავა ვაჭრობის მინისტრის მოადგილის, პირველი მოადგილის პოსტები. 1984–1986 წლებში სწავლობდა ქ.მოსკოვში, საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიაში. იქვე დაიცვა დისერტაცია სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. უფრო ადრე, 1982 წელს დაამთავრა მოსკოვის სახალხო მეურნეობის აკადემიის სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტი. გამოქვეყნებული აქვს 60–ზე მეტი ნაშრომი. 1986–2002 წლებში არჩეული იყო ცეკავშირის გამგეობის წევრად, თავმჯდომარის მოადგილედ, პირველ მოადგილედ. არის მრავალი საერთაშორისო პროექტის, კონფერენციის, სიმპოზიუმის მონაწილე და ორგანიზატორი. როგორც საპარლამენტო დარგობრივი მდივანი, ეწეოდა კანონშემოქმედებით საქმიანობას. მისი უშუალო ხელმძღვანელობით მომზადდა საქართველოს კანონი სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ. აქტიურად იყო ჩართული აფხაზეთიდან დევნილთა მიღებისა და განთავსების, აგრეთვე სამაჩაბლოს მოსახლეობის სოციალურ–ეკონომიკური პრობლემების დარეგულირების სამთავრობო კომისიების მუშაობაში. 2014 წელს აირჩიეს საქართველოს სამომხმარებლო მრავალდარგოვანი კოოპერაციული ალიანსის გამგეობის თავმჯდომარედ. ეწევა სამეცნიერო–პედაგოგიურ მოღვაწეობას ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტში. მისი მეცნიერული ინტერესის სფეროს წარმოადგენს ეკონომიკური თეორიის, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის, ფასწარმოქმნის, კოოპერაციის აქტუალური საკითხები. არის ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი. საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, აკადემიკოსი. არჩეულია საქართველოს მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა ეროვნული აკადემიის წევრად, საგვარეულო კავშირის გამგეობის თავმჯდომარედ და ეწევა ნაყოფიერ საქმიანობას. ბ–ნი მამია ხშირად დიდი მოწიწებით მოიხსენიებს საშუალო სკოლის მასწავლებლებს: დიმიტრი ბედიანიძეს, ელენე კაპანაძეს, თინა ლილუაშვილს, გიორგი ლომსაძეს, ფაცა ლაბაძეს, ელენე აბრამიშვილს, ნორა ბარბაქაძეს, მერი ჭულუხაძეს, იერემია, მიშა, შოთა და საშა კაპანაძეებს, მიშა და ვლადიმერ მახათაძეებს, ბორის მუმლაძეს, ვასილ დოღონაძეს, ვენერა ერგემლიძეს, ნუნუ ესვანჯიას, ზურაბ გეგეშიძეს, ოთარ ფხაკაძეს, დიომიდე, შალიკო და შოთა ჭუმბურიძეებს; უნივერსიტეტის პროფესორებს: გივი ჭანუყვაძეს, ვალერიან მელქაძეს, ნიჟა ხურციძეს, სერგო ბერაძეს, არჩილ ფანცხავას, ვასილ ჩანტლაძეს, ვალია ბახტაძეს, ვალერიან ადვაძეს, გიორგი მშვილდაძეს, იგორ კრავცოვს, სერგი ინწკირველს, თედო ლობჯანიძეს, თენგიზ ჭიაბრიშვილს.

მისი საკმაოდ საინტერესო და შინაარსიანი ცხოვრება განაპირობა მისმა პიროვნულმა თვისებებმა. იგი არის გულისხმიერი, საიმედო, სამართლიანი, ერთგული, პრინციპული პიროვნება, შეუძლია მაქსიმუმის გაღებით სამსახური. ბედნიერებას ანიჭებს მეგობრობა, სხვისთვის გაწეული თანადგომა. უამრავ ადამიანურ თვისებასა და ღირსებასთან ერთად, მისი განსაკუთრებულობა მისსავე უშუალობაში, გულწრფელობაში, დახვეწილ ტაქტსა და დამაჯერებელ ოპტიმიზმშია. ძალიან უყვარს მშობლიური კუთხე და სოფელი, თავდაუზოგავად იღწვის მისი კეთილდღეობისთვის, მამისეული ოჯახის ტრადიციების შენარჩუნებისა და გაღრმავებისთვის. ძალზე ახალგაზრდამ შექმნა ლამაზი ოჯახი მომავალ პედაგოგ თამარ კახნიაშვილთან ერთად. ჰყავს სამი შვილი: გიორგი – ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი; ქალიშვილები: ქეთევანი – მედიკოსი და რუსუდანი – ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი. არის შვიდი არაჩვეულებრივი შვილიშვილის ბაბუა, ჰყავს ორი შვილთაშვილი.

ჯანმრთელობასა და დღეგრძელობასთან ერთად კიდევ უფრო წარმატებულ მოღვაწეობას ვუსურვებთ ბატონ მამიას მრავალმხრივ საქმიანობასა და პირად ცხოვრებაში.

საქართველოს საგვარეულო კავშირის სახელით: *ლევან ფრუიძე, ვაჟა ნადირაშვილი, თენგიზ მაისურაძე, ფრიდონ ლოლაძე; ჭუმბურიძეთა საგვარეულო კავშირის, ახლო ნათესავების, თანაკლასელებისა და თანაჯგუფელების სახელით: ზურაბ, ოთარ, ჯემალ, კახა, ბესიკი, იოსებ, ლია, დოდო, მერი, ლამარა, ლერი, მეგონა, ეთერი, რობერტი, ლომარი, ბონდო, ვახტანგი, ბორის, თემური, მურმანი, დემური, კოლია, გიორგი, ზურიკო, სპარტაკი, მანანა, დათო, რამინი, თენგიზი, ავთო, ხათუნა, თამუნა, მაია, სანდრო, ბათუ, რეზიკო, გელა, ქართლოს, ზაზა, შადიმან, დათუნა, გოგი, თემური, ნუკრი, მერაბი, ამირან, ნოდარი ჭუმბურიძეები; ნანული, ალისა კიკნაძეები; მარინა, ვალოდია თხელიძეები; მარინა, ნანა თავბერიძეები; ზოია სამხარაძე; ვერიკო, ჟუჟუნა, ბეჟანი, მიხეილ კახნიაშვილები; თამრიკო, ინგა ბარელაძეები; ჯუმბერ არაბიძე, დავით იაკობიძე, რეზო გირკელიძე; ლალა, ლაურა, მურადი, ჯემალი კაპანაძეები; ტარიელ, გოგილო ღავთაძეები; ნანული, ნათელა, თენგიზ მჭედლიძეები; დემური, ბორიკო მახათაძეები; მარიამ, დემური მუმლაძეები; ნელი, ელგუჯა ლომსაძეები.*

შენ რომ გიყვარს..

ვუძღვნი მამია ჭუმბურიძეს

საქმენითა შენმიერით
არ კადრულობ უკადრებს,
შენ რომ გიყვარს შენი ერი,
ისე ყველას უყვარდეს!

გულს გიკოდავს აშლილობა,
ქართველებს რომ უკან გვდევს,
შენ რომ გიყვარს მხარში დგომა,
ნეტავ ყველას უყვარდეს!

ორგულებიც გვეგულება, –
სხვა ჰანგზე რომ უკრავენ,
შენ რომ გიყვარს ერთგულება,
ისე ყველას უყვარდეს!

შენ სიკეთის ხარ გამცემი, –
გიბრუნდება უკანვე,
შენ რომ გიყვარს ძმაკაცები,
ნეტავ ყველას უყვარდეს!

შენი თბილი იმერლობა
გულცივობას უკლავს ბევრს,
შენ არ გიყვარს პირველობა,
ნეტავ არც სხვას უყვარდეს!

ღმერთმა დიდხანს გაჯანმრთელოს, –
თავს რომ ყველას უყადრებ,
შენ რომ გიყვარს საქართველო,
ისე ყველას უყვარდეს!

გურამ კლდიაშვილი
პოეტი, მწერალი, პუბლიცისტი

25 აგვისტო აჭარის განთავისუფლებისა და საქართველოში დაბრუნების დღე

138 წელი შესრულდა აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნებიდან. 25 აგვისტოს ბათუმში თავი მოიყარეს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა სტუმრებმა და ადგილობრივმა მცხოვრებლებმა. თბილისიდან ჩამოვიდა გვარების წინამძღოლთა ერთი ჯგუფი.

გაიმართა საზეიმო მიტინგი. საზოგადოებას მიესალმა და მოკლე ისტორიული მიმოხილვა გააკეთა აჭარის მამულიშვილთა კავშირის თავმჯდომარემ, ფილოსოფოსმა, პროფესორმა ნიაზ ბოლქვაძემ. სიტყვით გამოვიდნენ: მეცნიერები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები. საქართველოს საგვარეულო კავშირის ,,გვარი და გვარიშვილობის“ სახელით შეკრებილებს მიესალმა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ვაჟა ნადირაშვილი. სიტყვით გამოვიდა ისტორიული მესხეთის მამულიშვილთა კავშირის თავმჯდომარე, სუდაძეთა გვარის წინამძღოლი ზაზა სუდაძე.

შეკრებაზე 9 წლის დათო სამხარაძემ ემოციურად წაიკითხა ლექსი ,,აფხაზეთი მაინც ჩვენი იქნება“. ამით მიგვანიშნა, რომ აფხაზეთიც აჭარასავით დაგვიბრუნდება.

შემდეგ შეკრებილებმა პატივი მიაგეს აჭარის განთავისუფლებისათვის დაღუპულთა საფლავებს. მოეწყო მსვლელობა ილია ჭავჭავაძისა და მემედ აბაშიძის ძეგლებთან.

ზაზა სიხარულიძე



სრულიად საქართველოს ღვთიშვილთა კავშირმა დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა საქართველოს ღვთიშვილთა კავშირის დამფუძნებელი და მისი პირველი თავჯდომარე – ზაზა სიხარულიძე.

ზაზა სიხარულიძე დაიბადა 1960 წელის 18 აპრილს ქ. ბათუმში, გამოჩენილი ისტორიკოსის აკადემიკოს იური სიხარულიძის და ლაურა გიორგაძის ოჯახში. სარწმუნოებით მართმადიდებელი ქრისტიანი, პროფესიით ფილოლოგ–აღმოსავლეთმცოდნე და იურისტი, მინიჭებული ჰქონდა ფილოლოგიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, არჩეული იყო საქართველოს სამედიცინო–სოციალურ, ტექნოლოგიურ და ფაზისის მეცნიერებათა აკადემიების წევრად (აკადემიკოსად), იყო თბილისის ბიზნესისა და სამართლის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი და პროფესორი, ოთხი წიგნისა და 800–მდე პუბლიკაციის (თეორიულ–კონცეპტუალური ხასიათის შრომები, ლიტერატურულ–კრიტიკული წერილები, ლექსები, თარგმანები) ავტორი.

შრომითი საქმიანობა დაიწყო 1976 წლიდან თბილისის ერთ–ერთი სპეციალიზებულ საწარმოში.

ეროვნულ–განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩაება 1978 წლიდან.

იყო საქართველოს 1992–95 მოწვევის პარლამენტის წევრი, სოციალურ საკითხთა კომისიის თავჯდომარე სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი.

1989 წლის 26 სექტემბერს თბილისში, შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრის მცირე დარბაზში, ზაზა სიხარულიძის ინიციატივით დაფუძნდა სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული ინვალიდთა ასოციაცია, ხოლო 1990 წლის 30 ივნისიდან – სრულიად საქართველოს ღვთიშვილთა კავშირი. ეს იყო ინვალიდთა პირველი არასამთავრობო ორგანიზაცია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მაშინდელ საბჭოთა კავშირში.

ზ. სიხარულიძემ საქართვლეოში პირველმა შთააგონა უნარშეზღუდულებს, რომ ისინიც ისეთივე სრულფასოვანი პიროვნებები არიან, როგორც ჯანმრთელნი, მსოფლიოს მასშტაბით კი ეს პირველად ამერიკაში ფრანკლინ რუზველტმა გააკეთა.

ზ. სიხარულიძე იყო ამერიკის პრეზიდენტის კენედის ფართოდ ცნობილი მედლის კავალერი. სრულიად საქართველოს ღვთიშვილთა კავშირი მოქმედებს რა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მიზნად ისახავს საქართველოში ჰუმანისტური მსოფლმხედველობისა და ტრადიციების აღორძინება–დამკვიდრებისათვის, ინვალიდთა ყოველმხრივი რეაბილიტაციისა და მათი საზოგადოებაში ინტეგრირებისათვის ხელშეწყობას, რისთვისაც შემუშავებულია საქმიანობის ფართომასშტაბიანი პროგრამა, საქართველოს ღვთიშვილთა კავშირი აერთიანებს 16 ათასამდე წევრს, ქვეყნის მასშტაბით კი ფუნქციონირებს მისი 40–მდე რეგიონალური რაიონული, საქალაქო და ზონალური ორგანიზაცია. მონაცემები მისი ფუძემდებლის საქმიანობის შესახებ შეტანილია ამერიკის შეერთებული შტატებში გამომავალ ისეთ ავტორიტეტულ და პრესტიჟულ ინგლისურენოვან გამოცემაში, როგორიცაა, „ასოციაციათა ენციკლოპედია: უცხოური ორგანიზაციები“ (1996 და 1997 წლების გამოცემები).

სწორედ სრულიად საქართველოს ღვთიშვილთა კავშირის შემუშავებულია ჩვენი ქვეყნის ისტორიაში პირველი და ამჟამად მოქმედი კანონი „ინვალიდთა სოციალური დაცვის შესახებ“, რაც მისივე ინიციატივით მიიღო საქართველოს პარლამენტმა 1995 წლის 14 ივნისს. კავშირის წარმომადგენლებს გარკვეული წვლილი მიუძღვით საქართველოს ახალი კონსტიტუციის (1995 წ.) და „ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა შესახებ“ კანონს (1995 წ.) შემუშავება–მიღების საქმეში.

დღემდე ღვთიშვილთა კავშირს განხორციელებული აქვს ინვალიდთა, მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა რისკის ჯგუფის მოზარდთა დასაქმების, საგანმანათლებლო, სამართლებრივი და სოციალური მომსახურების სხვადასხვა ხასიათის რამდენიმე ათეული პროექტი, რომელთაც აფინანსებდნენ ისეთი დონორი ორგანიზაციები, როგორიცაა გაეროს განვითარების პროგრამა, ბავშვთა ფონდი, ფრიდრიხ ებერტის ფონდი და სხვა.

ზ. სიხარულიძე დაფუძნებიდან კავშირის თავჯდომარე იყო და ასევე 1991 წლიდან გაზეთ „ღვთიშვილის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი.

1990 წელს არჩეული იყო საქართველოს ეროვნული ფორუმისა და კონგრესის წევრად.

1990 წელს აირჩიეს საქართველოს ეროვნული ფორუმის კონგრესის წევრად, საქართველოს ეროვნული კონგრესის სოციალურ საქმეთა კომისიის თავმჯდომარედ, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წევრად, 1999 წელს მისივე ინიციატივით დაარსებული საქართველოს არასამთავრებო ორგანიზაციების კონგრესის აღმასრულებელ მდივნად და საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარების ფონდის „კონგრესის“ გამგეობის თავმჯდომარედ, 2000 წელს – სრულიად საქართველოს ინვალიდთა, ვეტერანთა და დევნილთა არასამთავრობო ორგანიზაციების სათათბირო თავმჯდომარედ, 2001 წელს – საქართველოს ეროვნული ფორუმის სპიკერად, 2002 წელს საქართველოს ინვალიდთა, ვეტერანთა და დევნილთა არასამთავრობო ორგანიზაციების ასამბლეის აღმასრულებელ კოორდინატორად. საქართველოს ეროვნული დაუმორჩილებლობის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარედ, 2004 წელს – საქართველოს ხსნის ეროვნული ფრონტის საორგანიზაციო კომიტეტის დამფუძნებელ წევრად და თანათავმჯდომარედ, 2006 წელს – კოალიცია „თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად საქართველოს ინვალიდთათვის“ გამგეობის თავმჯდომარედ, იყო რამდენიმე სახელმწიფო და სამთავრობო კომისიისა და საბჭოს წევრი;

2003 წელს დასახელებული იყო საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად.

ზ. სიხარულიძემ არაბულ–ქართულ ენობრივ თავისებურებათა ღრმა კვლევითაც ისახელა თავი. იგი გახლდათ არაბულ–ქართული ფილოლოგიის დოქტორი და მრავალი საგულისხმო გამოკვევის ავტორი.

საქართველოს საგვარეულოთა კავშირი, „გვარი და გვარიშვილობა“ მწუხარებას გამოთქვამს ბატონ ზაზა სიხარულიძის გარდაცვალების გამო.

ნადირაშვილები

ნადირაშვილთა უძველესი სალოცავი (ნანგრევებში) სოფ. ჭიჩოში

ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ დალოცა ნადირაშვილთა გვარი.

2011 წლის 27 ივლისი იქცა ნადირაშვილებისათვის სალოცავ დღეთ. მრავალსაუკუნოვან ცხოვრების მანძილზე ამდენი ნადირაშვილი ერთად არ შეკრებილა. თბილისის წმინდა სამების საკათედრო ტაძრის ამბიონიდან საქართველოს პატრიარქის ხმას – „დაილოცოს ნადირაშვილთა გვარი“ აღფროთვანებით შეხვდა ყველა ნადირაშვილი. ეს იყო გვარის მომავლის სიძლიერის, სიმრავლის და კეთილდღეობის იმედის ჩასახვა.

ნადირაშვილთა გვარი, როგორც გამოკვლევებიდან ირკვევა მთის მხარის წარმოშობისაა. სავარაუდოდ ისტორიული ფხოვიდან.

„გვარები ნადირაძე, ნადირაშვილი მიღებულია აღმოსავლური „ნადირ–ნადირა“ სახელისაგან (რომელიც „რჩეულს“ ნიშნავს) და არა „მხეცის“ აღმნიშვნელი სიტყვისაგან“ – წერს პროფესორი ზურაბ ჭუმბურიძე თავის წიგნში „რა გქვია შენ?“ („ნაკადული“ 1971 წ. გვ. 42).

აქ საუბარია მხოლოდ გვარ–სახელთა ფუძის ერთობაზე და არა გვარმოდენილობათა ერთსისხლიანობაზე. ჯერ კიდევ მე–12 საუკუნეში გვხვდება გვარები: ნადირბერი და ნადირისძე (პირთა ანოტირებული ლექსიკონი 2004 წ.), მაგრამ მათაც არავითარი საერთო გვარმოდენილობაში არ გააჩნიათ. საქართველოში სხვადასხვა კუთხეში გვხვდება სახელი „ნადირა“. ეს განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს მთიან მხარეებშია (იხ. პირთა ანოტირებული ლექსიკონი 2004 წ. გვ. 250–251) ყველა მათ ერთი მემკვიდრეობითი სახელი აქვთ, ხოლო წარმომავლობით თვით ნადირაშვილნიც სხვადასხვანი არიან, რამეთუ ჟამითი–ჟამად და →

ადგილ–ადგილ, სხვათა და სხვათა ნადირათა შთამომავალთ ნადირაშვილობა გაუგვარდათ.

ნადირაშვილთა განსახლების არეალი მოიცავს მთელ საქართველოს: კახეთს, ქიზიყს, ქართლს, რაჭას, ერწო–თიანეთს, ფშავს, იმერეთს, გურიას. მაგრამ საძიებელია გვარის წარმოშობის ადგილი.

დადასტურებულია, რომ საკუთარი სახელი „ნადირა“ ფართოდ იყო გავრცელებული მთელ საქართველოში, ამიტომ გვარსახელით ნადირაძე, ნადირაშვილი შესაძლებელია დამოუკიდებლად წარმოქმნილიყო სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მხარეში. როგორც აკაკი შანიძე ამბობს „წყვილ–წყვილი გვარები, მაშასადამე ერთიანია წარმოშობის თვალსაზრისით, მაგრამ გაფორმებულია სხვადასხვაგვარად, იმის მიხედვით, თუ სად ცხოვრობს ამა თუ იმ გვარის ხალხი, აღმოსავლეთ საქართველოში თუ დასავლეთში. ხომ ვამბობთ, წარმოშობით ერთნიაო, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ერთი დედმამის წარმომავლები იყვნენ. არა ეს ნიშნავს, რომ ასეთ გვარებს ერთი და იგივე სახელი უძევს საფუძვლად, მაგრამ ერთი და იგივე სახელი სულ სხვადასხვა წარმოშობის პირებს შეიძლება ჰქონდეთ. მიუხედავად ერთნაირი გვარისა, წარმოშობით ისინი შეიძლება სხვადასხვა იყვნენ და ნათესაური კავშირი არ ჰქონდეთ“. (აკაკი შანიძე, თეოფორული სახელები ქართველურ ენებში. თსუ შრომები 1951 წ. №45 გვ. 195–196).

როგორც დღეს ჩანს გვარების განსახლების არეალიდან, ნადირაძე და ნადირაშვილი სხვადასხვა მხარეში არიან განსახლებულები.

როგორც ზევით აღინიშნა სხვადასხვა მეცნიერების აზრით სახელი „ნადირა“, საიდანაც

გვარი ნადირაშვილია წარმომდგარი არის მთიან მხარეში გავრცელებული, ამდენად სავარაუდოა, რომ მართლაც გვარის ისტორია დაწყებულიყო მაღალმთიან ფშავში – ისტორიულ ფხოვში.

ნადირაშვილთა გვარის ბუდე, პირველსაცხოვრისი ფშავში, ჭიჩოელთა თემი სოფელ ჭიჩოში (ყოფილი სოფელი, დუშეთის რაიონში) ფიქსირდება. ფშავის ჭიჩოელთა თემი ერთი სოფლით იყო წარმოდგენილი. ჭიჩოელთა თემის დასახლებები წარმოქმნილი ჰქონდა ფშავს გარეთ. კერძოდ, ივრის ხეობის ზემო წელში (სოფლები არტანი და ბოდახევა – თიანეთის რაიონი), რომლის მცხოვრებნიც, ჩვეულებრივ, ეყმობოდნენ ჭიჩოს თემის საერთო სალოცავს „პირცეცხლს“ და თავსაც აღნიშნული თემის წარმომადგენლებად თვლიდნენ, მიუხედავად მათი ბუდე ფშავიდან დიდი ხნის წინ (XV-XVI საუკუნეები) გადმოსახლებისა. დღესაც, როდესაც მლოცველები მიდიან ჭიჩოს სალოცავში – ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში (ნანგრევები) პირველ რიგში ნადირაშვილების გვარს გაატარებენ ხოლმე, რადგან თვლიან, რომ ეს უპირველესად ნადირაშვილების სალოცავია.

ჭიჩოელების გვარიდან, დროთა განმავლობაში ბევრი სხვა ახალი გვარ–სახელი წარმოქმნილა. არტანის თემში ნადირაშვილთა საგვარეულოს იანვარაშვილთა, ტურაშვილთა და გაბაშვილთა გვარები გამოჰყოფიან. სიროლეთშიც უცხოვრიათ ნადირაშვილთ. ისროლისხეველი ნადირაშვილები XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე არცევში არიან გადასახლებულები, რომელთაც თან ღვთისმშობლის ნიში გადაუტანიათ.

თანდათან მასობრივი ხდებოდა ფშავ–ხევსურების გადასახლება ბარში. იმ ხანებში სპარსელებისაგან აოხრებული, დაცარიელებული ქართლ–კახეთის სოფლების შევსება სწორედ მთიელების ხარჯზე ხდებოდა (შ. არაბული ისტორიული თავგადასავალი ხევსურთა. თბილისი 2006 წ. გვ. 168–169) მათი დასახლება უმთავრესად ხდებოდა მეფის ან საეკლესიო მიწებზე. როდესაც საეკლესიო და სახასო მიწები აღარ ყოფნიდათ, მათ თავადების მიწებზე დაიწყეს დაფუძნება.

განსაკუთრებით XVII საუკუნის დასაწყისიდან გაძლიერდა მათი მიგრაცია. კახეთში, ქიზიყში მოხდა მათი განსახლება სახაზინო მიწებზე და ისინი სახასო ყმებად იწოდებოდნენ. ვფიქრობთ ასე გაჩდნენ სიღნაღში, თელავში, ახმეტაში, გორში, ქარელში, კასპში და სხვა. შემდეგ კი შესაძლებელია ისინი კვლავ გადაადგილებულიყვნენ. ასე მაგალითად რაჭის სოფ. ნიკორწმინდის ნადირაშვილებმა გადმოცემით იციან, რომ მათი წინაპარი ნიკორწმინდაში საეკლესიო პირს გამოჰყოლიან კახეთიდან – კერძოდ სოფ. საქობოდან და საეკლესიო გლეხებად იწოდებოდნენ სოფ. სევაში და ჭიბრევში იყვნენ, როგორც საეკლესიო ისე საბატონო გლეხები.

მე–18 საუკუნით თარიღდება გომიჯვარელი და თელათგორელი (სოფლები კასპის რაიონში) კაცთა სია, რომელთაც თავი სხვაგან უჩენიათ. ნუსხაში გომიჯვარიდან გაქცეულ ყმათა შორის გია ნადირაშვილიც ყოფილა, რომელსაც დუშეთში უჩენია თავი, ხოლო ნადირაშვილ ხუროს შვილს გოგიას თავისი ძმით თიანეთს ყოფილა გადასული (რედაქტორი ივ. ჯავახიშვილი „საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები“ (XIII-XIX ს.ს.) წიგნი II გვ. 189).

→

ნადირაშვილები რაჭაში, სოფელ სევაში

← გვარი ნადირაშვილი დღემდე შემორჩენილ და ჯერჯერობით მოკვლეულ ხელნაწერ დოკუმენტებში მოიხსენიება პირველად მე–15 საუკუნის დასაწყისში. მე–15 მე–16 საუკუნეებს მიეკუთვნება ხელნაწერი წიგნი „კონდაკი“ – (ჟამის წირვა–ლიტურგიული წიგნი, რომელშიც წარმოდგენილია წირვის წესი). ამ წიგნის 6–ერ გვერდზე ნუსხური დამწერლობით შესრულებულია მე–16 საუკუნის დასაწყისით დათარიღებული მინაწერი, რომლის შინაარსი ქარაგმის გახსნითა და მხედრული ტრანსლიტერაციით ასე იკითხება: „ქ. მოიხსენიე უფალო, ოდეს მიხვიდე სუფევითა შენითა თითა ნადირაშვილის ქალი სასუფეველსა შენსა. ამინ, უფალო“ (ხელნაწერთა ინსტიტუტი H-1827). სავარაუდოა, რომ „კონდაკი“, რაღამც პერიოდის განმავლობაში თითა ნადირაშვილის მფლობელობაში ყოფილიყო, რაც მისი ოჯახის დაწინაურებაზე ან სასულიერო მოღვაწეობაზე მიგვანიშნებს. ასევე აღსანიშნავია, რომ ქალს – თითა ნადირაშვილს სულ ცოტა ერთი საუკუნის წინა პერიოდში ჰყავდა მამა–პაპა, საიდანაც შეიძლება მისი გვარი გაგრძელებულიყო. ასე, რომ ნადირაშვილთა გვარი მე–14 საუკუნიდან მაინც მოდის. მით უფრო „ნადირა“ სახელით უკვე მე–12 საუკუნიდან მოიხსენიებენ:

1681 წელს ქვემო ქართლში მოსახლე ფრიდონა ნადირაშვილს, მის შვილს გიორგის და ძმისწულს სუთინას ზურაბ ყორღანაშვილისათვის მკვიდრი სავენახე მამული მიუყიდიათ (ც. ს. ს. ა ფონდი 1450 დავთარი №16 საბუთი №127).

1686 წლის დეკემბერში დაწერილა ფრიდონა ნადირაშვილისა და მისი ძმისწულის სუთინას მიერ გიორგი ყორღანაშვილისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობი სწიგნი, რომელიც ფრიდონა ნადირაშვილის განაყოფი ქიტია ნადირაშვილი ადასტურებს (ც. ს. ს. ა ფონდი 1450 დავთარი №1 საბუთი №54).

ამ ჩანაწერებით ისიც მტკიცდება, რომ ნადირაშვილები შეძლებულ გლეხებს მიეკუთვნებოდნენ.

ქიზიყში – სიღნაღსა და ნუკრიანში მცხოვრებ ნადირაშვილთა შესახებ მე–19 საუკუნის დასაწყისიდან კამერალურ აღწერის დავთრებსა და საეკლესიო ჩანაწერებში 1804 წლიდან ჩანს ნადირაშვილთა გვარჩამომავლობა.

ნუკრიანში ზედაშესიასნ

ჭიჩოს ნადირაშვილების სალოცავთან ხევისბერი

ამ დროისათვის ნუკრიანში 9 კომლს უცხოვრიათ. უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი ბევრად ადრე დამკვიდრებულან ამ მხარეში. შესაძლოა მიგრაციის შედეგად დასახელებულიყვნენ ნუკრიანში, ბატონის უღელს გამოქცეულნი, შემდგომში სახაზინო გლეხთა კატეგორიას მიეკუთვნებოდნენ ან დამოუკიდებლად წარმოქმნილიყო ნადირაშვილთა ეს გვარმოდენილობა.

ზოგ ნადირაშვილს აზანაურობამდეც მიულწევია თოფჩიშვილის ნაშრომში ქართველი თავადაზნაურები 249 გვერდზე ვკითხულობთ: „ნადირაშვილი – 1715 წლის რუისის სამწყოს დავთრით სოფელ სატივეში მკვიდრობდა გივი ნადირაშვილი, რომელსაც საწირავი ედო, ე. ი. იყო აზნაური“.

აქვე ვხვდებით „ქუმსი ნადირაძე, რომელსაც მიწერილი აქვს „მოსახსენიებელი აძევს“ ე. ი. აზნაური იყო“.

ნადირაშვილები ყოველთვის შრომისმოყვარულნი და მიზანსწრაფულები იყვნენ. სოფელ ჭიჩოს მცხოვრებმა გულბათ ნადირაშვილმა, ბედის ძიება ბარში გადაწყვიტა, გადმოცემის თანახმად გზად ერთი ბატკანი იპოვნა. თავის შრომის და შეუპოვრობით იგი მრავალათასიან ფარად აქცია. დაცოლშვილდა, გამრავლდა, შეეძინა შვილები და მათთან ერთად ჩაერთო საქმეებში. შეიძინა საძოვრები შირაქში თეთრწყაროში და მთლიან კახეთში. ამბობენ იმისათვის, რომ გოლოვინის გამზირზე ცხვრის ფარის გატარების უფლება მოეპოვებინა მისმა შვილმა იმპერატორ ალექსანდრე III–ს ასი დარჩეული ჭედილა მიართვა საჩუქრად. შექმნეს რძის გადამამუშავებელი ქარხნები და პროდუქცია უცხოეთშიაც გაჰქონდათ. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ კი ყველაფერი ქარმა წაიღო.

შეძლებული გლეხი გახლდათ ნუკრიანელი ნოდარ ზაქარიას ძე ნადირაშვილი, რომელმაც 1900–1908 წლებში ქვედა ნუკრიანში ძველი ეკლესიის ნანგრევებზე ახალი წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია ააგო. ამაზე მეტყველებს მემორიალური დაფა, რომელიც ეკლესიის კედელშია ჩატანებული, ხოლო თვით ნოდარ ნადირაშვილი დაკრძალულია შიგ ეკლესიაში.

ნადირაშვილებს სხვადასხვა კუთხეში თავიანთი სალოცავი ხატი ჰყავთ – ღვთიმშობელი, წმინდა გიორგი და იოანე ღვთისმეტყველი. ამიტომ ნადირაშვილთა კავშირმა შექმნა საერთო სალოცავი ხატი – კარედი, შუაში ღვთიშობელი, მარჯვნივ წმინდა გიორგი, ხოლო მარცხნივ იოანე ღვთისმეტყველი მახარობელი. ხატ–კარედის ავტორია მხატვარი ზვიად ნადირაშვილი. – კასპის რაიონის, სოფელ გომისჯვარში – ნადირაანთკარში არის ძველი თითქმის ნანგრევებად ქცეული წმინდა იოანე მახარებლის სახელობის ეკლესია, სადაც ნადირაშვილებს პარაკლისი გადაუხადა აწ ტრაგიკულად დაღუპულმა მამა ილია კარტოზიამ.

ნადირაშვილებმა თავიანთი ხატით და დროშით მოიარეს ნადირაშვილთა განსახლების ადგილები ერწო–თიანეთი–სოფელი ნაქალაქევი, რაჭაში – ონის რაიონში სოფელი სევა, ქიზიყში ნუკრიანი და სხვა.

ნადირაშვილებს მრავალი გამოჩენილი ადამიანები ჰყავთ. საყოველთაოდ ცნობილი იყო ფსიქოლოგი – შოთა ნადირაშვილი, მეცნიერებათა დოქტორები დიმიტრი, ოთარი, შალვა(ალიკა) ნადირაშვილები, საქართველოს დამსახურებული არტისტები გენო და ნიკო ნადირაშვილები, მასწავლებელი და პოეტი ელენე ნადირაშვილი, გორის სამხატვრო სასწავლებლის დამაარსებელი და დირექტორი ანა ნადირაშვილი და სხვები.

ღმერთმა დალოცოს და ამრავლოს ნადირაშვილთა გვარი.

ნადირაშვილთა საგვარეულო კავშირის
თავმჯდომარე, საქართველოს
დამსახურებული მშენებელი
ვაჟა ნადირაშვილი

გვარეების წინამძღოლთა საყურადღებოდ!

საგვარეულო კავშირებში შიდა მიმდინარე მოვლენებზე, გამგეობის და კრებების გადაწყვეტილებებზე გვარიშვილები ნაკლებად არიან ინფორმირებულები, იმის გამო, რომ მათ არ გააჩნიათ საკუთარი საინფორმაციო ორგანო (გაზეთი)..

ამიტომ გთავაზობთ, ჩვენი გაზეთის საშუალებით გააშუქოთ თქვენი კავშირების საქმიანობა. მოგვაწოდეთ მასალები და გაავრცელეთ თქვენს გვარიშვილებში. ეს ხელს შეუწყობს ჩვენი გაზეთის ტირაჟის გაზრდასაც.

დღევანდელ ნომერში ჭუმბურიძეთა კავშირის გამგეობის თხოვნით ვბეჭდავთ კრების ოქმს თავიანთი წევრთა ინფორმირებისათვის.

ჭუმბურიძეთა საგვარეულო კავშირის წარმომადგენელთა კრების ოქმი I

ქ.თბილისი, სამების ტაძრის სხდომათა დარბაზი
7 თებერვალი, 2016 წელი, თვის I კვირა, 1300 საათი

წარმომადგენელთა კრებას ესწრებოდა 21 წარმომადგნელი

დღის წესრიგი

ცვლილებების შეტანა საგვარეულო კავშირის მართვის ორგანოებში – საბჭოში და გამგეობაში
(ინფ. მამია ჭუმბურიძე)
მიმდინარე საკითხები
(წარმომადგენლების ინფორმაციებისა და
წინადადებების მოსმენა)

I. პირველ საკითხთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ სამწუხაროდ მხოლოდ განვლილი ერთი წლის მანძილზე გამგეობას და საბჭოს მოულოდნელად გამოაკლდა მისი აქტიური წევრები: გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ბატონი ქართლოს ჭუმბურიძე და საბჭოს წევრი ბატონი გია ჭუმბურიძე (ლაგოდეხი). გვარის წარმომადგენლებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მათ ხსოვნას.

გვარის წარმომადგენლებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება საგვარეულო კავშირის მართვის ორგანოების – საბჭოსა და გამგეობის განახლების შესახებ. ღია კენჭისყრით საბჭოს შემადგენლობაში აირჩიეს:

ზურაბ ჭუმბურიძე, თბილისი, 577541054, 2395535
მამია ჭუმბურიძე, თბილისი, 599533883, 558428848
ოთარ ჭუმბურიძე, ქუთაისი, 558102210
კახა ჭუმბურიძე (უფროსი), თბილისი, 577511000
ლავრენტი ჭუმბურიძე, თბილისი, 559567842
ხათუნა ჭუმბურიძე, თბილისი, 577155189
თამუნა ჭუმბურიძე, თბილისი, 599978909
თამრიკო ბარელაძე, თბილისი, 599414383
ბათუ ჭუმბურიძე, თბილისი, 593256686
ბესიკი ჭუმბურიძე, თბილისი, 599952529
დათო ჭუმბურიძე, თბილისი, 551791920
თამრიკო ჭუმბურიძე, თბილისი, 574125374
შორენა ჭუმბურიძე, თბილისი, ბოსლევი 599851933
გურამ ჭუმბურიძე, თბილისი, 598135300
თენგიზ ჭუმბურიძე, თბილისი, 577645274
რამინ ჭუმბურიძე, თბილისი, 599241447
შადიმან ჭუმბურიძე, თბილისი, 598114999
გიორგი (გოგიტა)ჭუმბურიძე, თბილისი, 599521507
ზვიად (სანდრო)ჭუმბურიძე, თბილისი, 557423683
თამაზი ჭუმბურიძე, თბილისი, 599541270
გიორგი ჭუმბურიძე, თბილისი, 598902626
ზვიადი ჭუმბურიძე, თბილისი, 579998080
პაატა ჭუმბურიძე, თბილისი, 577575860
ირაკლი ჭუმბურიძე, თბილისი, ბოსლევი, 593300997
გიორგი ჭუმბურიძე, თბილისი, 557110307
ბეჟან ჭუმბურიძე, თბილისი, 599701088
დათო ჭუმბურიძე, თბილისი, 595035533
ლაშა ჭუმბურიძე, თბილისი, 551127777
რატი ჭუმბურიძე, რუსთავი, 577517812
სპარტაკი ჭუმბურიძე, თბილისი, 571880110
გივი ჭუმბურიძე, თბილისი, 593555956
მურმან ჭუმბურიძე, რუსთავი, 599993855
სიკო ჭუმბურიძე, თბილისი, 2392431, 555308090
სიმონა ჭუმბურიძე, ბოსლევი, 577672184
თემური ჭუმბურიძე, ჭიათურა, 599343230
ნუკრი ჭუმბურიძე, ჭიათურა, 599549688
კახა კეკელია, რუსთავი 579503040
კახა ჭუმბურიძე (უმცროსი), 577219999
ვახტანგი ჭუმბურიძე, თბილისი, 2913426, 599514545
თამაზი ჭუმბურიძე, თბილისი, 577735096
ჯემალი ჭუმბურიძე, თბილისი, 599103867
ავთო ჭუმბურიძე, თბილისი, 599718299, 2667870
მალხაზი ჭუმბურიძე, თბილისი, 599239008
თემური ჭუმბურიძე, თბილისი, 577416846, 2385667
ბესო ჭუმბურიძე, მარნეული, 599728045
პაატა ჭუმბურიძე, თბილისი, 2231331
რეზო ჭუმბურიძე, თბილისი, 599503959
გივი ჭუმბურიძე, თბილისი, 577158000
ზურაბ ჭუმბურიძე, თბილისი–სიმონეთი, 574767474
რეზიკო ჭუმბურიძე, თერჯოლა, 599750100
ზაზა ჭუმბურიძე, თბილისი–სიმონეთი, 558171100
ქართლოს ჭუმბურიძე, თერჯოლა, 577973391
ზვიადი ჭუმბურიძე, ქუთაისი, 598690369
ნონა კალაიჯოვი, ქუთაისი, 555445401
მერი (კუსა)ჭუმბურიძე, თბილისი, 2324785
პაატა ჭუმბურიძე, თბილისი, 593509883
კობა ჭუმბურიძე, თბილისი, 551916241
ნიკა ჭუმბურიძე, თბილისი, 514414545
თორნიკე ჭუმბურიძე, თბილისი, 568065858
ირაკლი ჭუმბურიძე, თბილისი, 558850808
ანდრო ჭუმბურიძე, თბილისი, 599084888
ელენე ჭუმბურიძე, თბილისი, 595002822
ეკა ჭუმბურიძე, თბილისი, 299959
ლექსო ჭუმბურიძე, თბილისი, 666724
რატი ჭუმბურიძე, თბილისი, ბოსლევი, 555625150
რატი ჭუმბურიძე, ქუთაისი, ბოსლევი, 555262058
დათო ჭუმბურიძე, ზესტაფონი, ბოსლევი, 595356060
დათუნა ჭუმბურიძე, ზესტაფონი, ბოსლევი 551247164
გრიგოლ ჭუმბურიძე, ზესტაფონი, 555778077
ვახტანგ ჭუმბურიძე, ზესტაფონი, 577222194, 599967271
კოლია ჭუმბურიძე, ბოსლევი, 599339181
პეტიკო ჭუმბურიძე, ბოსლევი, 595005560
მალხაზ ჭუმბურიძე, თბილისი, ბოსლევი 599601702
პაატა ჭუმბურიძე, თბილისი, ბოსლევი, 558767220
გოგი ჭუმბურიძე, ზესტაფონი, ბოსლევი, 558211800
გია ჭუმბურიძე, თბილისი, ბოსლევი, 599570953
ამირან ჭუმბურიძე, ბოსლევი, 555386179
ავთო ჭუმბურიძე, ბოსლევი, 599156098
ვახტანგ ჭუმბურიძე, თბილისი, 595560708
მამუკა ჭუმბურიძე, თბილისი, 558252058
გიორგი ჭუმბურიძე, თბილისი, 557111307
ირაკლი ჭუმბურიძე, თბილისი, 593300997
იოსებ ჭუმბურიძე, თბილისი, 599115272

→

თორნიკე ჭუმბურიძე, გორი, 598112626
ლევანი ჭუმბურიძე, გორი, 557267818
ჯამბული ჭუმბურიძე, თბილისი, 599683232
აჩიკო ჭუმბურიძე, ბოსლევი, 558903200
ტატო ჭუმბურიძე, ბოსლევი, 558428782
კობა ჭუმბურიძე, ზესტაფონი, 577441111
დათო ჭუმბურიძე, ზესტაფონი, 577441112
ტატო ჭუმბურიძე, ოზურგეთი, 579131511
იონა ჭუმბურიძე, ბოსლევი 555261827
დავით ჭუმბურიძე, ღორეშა, 598815033
გიორგი ჭუმბურიძე, თბილისი, 593286186
თემური ჭუმბურიძე, თბილისი, 574073565
ნინო ჭუმბურიძე, თბილისი, 599059212
თამრიკო ჭუმბურიძე, თბილისი, 577466458
ზურაბ ქურდაძე, თბილისი, 568333383, 577545410
გიორგი ქურდაძე, თბილისი, 557367621
მაკა ჭუმბურიძე, თბილისი, 557117888
რუსიკო ჭუმბურიძე, თბილისი, 599404624
რუსიკო ჭუმბურიძე, თბილისი, 593912159
ანა ჭუმბურიძე, თბილისი, 577511131
ანა ჭუმბურიძე, თბილისი, 568323639
ბორის ჭუმბურიძე, ბათუმი, ბოსლევი, 557503602
ნელი ჭუმბურიძე, თბილისი, 574532596
ნინო ჭუმბურიძე, თბილისი, 2538120
ლალი ჭუმბურიძე, თბილისი, 558767220
ლუიზა ჭუმბურიძე, ლაგოდეხი, 599569885
ქეთევან ჭუმბურიძე, თბილისი, 555355497
ნათია ჭუმბურიძე, თბილისი, 557318853
ლია ჭუმბურიძე, თბილისი, 571007333
მანანა ჭუმბურიძე, თბილისი, 574113689
გიორგი ჭუმბურიძე, თბილისი, 555625150
ვაჟიკო სარალიძე, თბილისი, 577205221
ლაშა კაკაურიძე, თბილისი, 577205566
ირაკლი ქავთარაძე, ბათუმი, 593312902
ირმა ქავთარაძე, ბათუმი, 593377763
ეკა ჭუმბურიძე, თბილისი, 555299959
სოფო ჭუმბურიძე, თბილისი, 555181398
თემური ჯაფარიძე, თბილისი, 579528787
თინიკო მახათაძე, ქუთაისი, ბოსლევი, 557735230
დარეჯან ჭუმბურიძე, თბილისი, ბოსლევი 555292692
ლაშა ვეფხვაძე, თბილისი, ბოსლევი, 555219338
მანანა ჭუმბურიძე, თბილისი, ბოსლევი, 555556797
გოგი ჭუმბურიძე, თბილისი, 599532074
ეთერი ჭუმბურიძე, თბილისი, 555407120
ირა ჭუმბურიძე, თბილისი, 577215048,2535245
შოთიკო ჭუმბურიძე, ლაგოდეხი, 595228045
თეა ჭუმბურიძე, თბილისი, 595516364
სოფო ჭუმბურიძე, თბილისი, 555681230
მაია ჭუმბურიძე, თბილისი, 2520772
მანანა მათიაშვილი, თბილისი, 2516616
რუსიკო ღამბაშიძე, თბილისი–რუსთავი, 599609212
მანანა გოგოლაძე, ბათუმი, 593653658
გელა ჭუმბურიძე, თბილისი, სიმონეთი, 557 82 70 70
გიორგი ჭუმბურიძე, თბილისი, სიმონეთი, 555 07 38 38
ნუნუ ჭუმბურიძე, თბილისი, 599 47 19 83
თამუნა ჭუმბურიძე, თბილისი, სიმონეთი, 577 33 54 97
ზურიკო ჭუმბურიძე, თბილისი, 570 50 36 12
თამუნა ჭუმბურიძე, თბილისი, 577 30 11 11
ირაკლი ჭუმბურიძე, თბილისი, 577 19 74 19
კახა ჭუმბურიძე, ნახშირღელე, თბილისი, 577 27 11 10
ნანა ღვინეფაძე,თბილისი, 221 72 18
სოსო ჭუმბურიძე, ჭიათურა, 593 32 68 17

II. აღინიშნა გამგეობის შემადგენლობის განახლების შესახებაც. აზრთა ურთიერთგაზიარების შედეგად გადაწყდა, რომ განახლებული გამგეობა ჩამოყალიბდეს შემდეგი შემადგენლობით:

მამია ჭუმბურიძე, გამგეობის თავმჯდომარე, 599533883, 558428848
ზურაბ ჭუმბურიძე, საპატიო თანათავმჯდომარე, 2395535, 577541054
ოთარ ჭუმბურიძე, თანათავმჯდომარე, 558102210
ბესიკ ჭუმბურიძე, მოადგილე, 599952529
გურამ ჭუმბურიძე, მოადგილე, 598135300
ანა ჭუმბურიძე, გამგეობის წევრი, 568323639
დათო ჭუმბურიძე, გამგეობის წევრი, 551791920
რეზიკო ჭუმბურიძე, გამგეობის წევრი, 599750100
იოსებ ჭუმბურიძე, გამგეობის წევრი, 599115272
ხათუნა ჭუმბურიძე, გამგეობის წევრი, 577155189
გელა ჭუმბურიძე, გამგეობის წევრი, 557827070
პეტიკო ჭუმბურიძე, გამგეობის წევრი, 595005560
კახა ჭუმბურიძე (უმცროსი), გამგეობის წევრი, 577219999

III. მეორე საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საჭიროა გარკვეული ორგანიზატორული სამუშაოების განხორციელება საგვარეულო ხატის რეგიონგებში, ჭუმბურიძეების ოჯახებში ორგანიზებულად დაბრძანების, გვარის რიცხოვნობის დადგენის, საწევროს შემოღების, საგვარეულო ენციკლოპედიის გამოცემის, ახალგაზრდობასთან მუშაობის გააქტიურების მიმართულებით.

კრების თავმჯდომარე: **მამია ჭუმბურიძე**
მდივანი: **ხათუნა ჭუმბურიძე**

მკითხველთა საყურადღებოდ!

მოწოდებული მასალების შინაარსზე და ფაქტების სისწორეზე რედკოლეგია პასუხს არ აგებს.

ყველა საგვარეულო კავშირს, ყველა წინამძღოლს, ყველას ვინც ერთგულია საგვარეულო მოძრაობის, ვინც საკუთარი გვარის პატრიოტია

გთხოვთ ითანამშრომლოთ გაზეთ ,,გვარი და ტრადიციასთან“, მოგვაწოდეთ მასალები (სტატიები, ინფორმაციები, ფოტოები) საგვარეულო კავშირების შესახებ, საგვარეულო მოძრაობის, საქართველოს დემოგრაფიულ და სოციოლოგიურ, აგრეთვე ეროვნულობის და მართმადიდებლობის შენარჩუნებისა და განმტკიცების პრობლემატურ საკითხებზე, ვიზრუნოთ საგვარეულოთა კავშირის ,,გვარი და გვარიშვილობის“ და გვარის წინამძღოლთა დარბაზის მატერიალურ-ფინანსურ და ტექნიკური ბაზის განმტკიცება განვითარებისათვის. მასალები გამოგვიგზავნეთ **E-mail:vaja39@mail.ru**

ჩვენი რეკვიზიტები
ISSN 2449-2280
გაზეთის ელექტრონული ვერსია იხილეთ:
www.dspace.nplg.gov.ge

ჩვენი რეკვიზიტებია:
სრულიად საქართველოს გვარის
წინამძღოლთა დარბაზის ფონდი
ს/კ 404953154
ბანკი: ,,რესპუბლიკა“ ბანკი
ა/ა **GE51BR0000010385861378**

მისამართი: ქ. თბილისი, წმინდა სამების საკათედრო ტაძარი
საკონტაქტო ტელეფონები:
790770871; 593 531 950

სარედაქციო კოლეგია
ლევან ფრუიძე
ვაჟა ნადირაშვილი ტელ: 599 90-26-01
თენგიზ მაისურაძე ტელ: 599 97-41-90
მერაბ ლეკვეიშვილი ტელ: 577 41-02-00
ნინო სულამანიძე ტელ: 592 12-34-56

მისამართი: ქ. თბილისი, წმინდა სამების საკათედრო ტაძარი
საკონტაქტო ტელეფონი: 790770871